

რეაგირება

შპს „ავზი 94“-ის ავტობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქცია და ექსპლუატაციის პროექტზე გაცემული №27 დასკვნაში წარმოდგენილ საკითხებზე

#	საკითხი	რეაგირება/პასუხისმგებელი რეაგირებაზე
1.	გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მესამე ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;	საკითხი გათვალისწინებულია
2.	გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მეოთხე ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;	საკითხი გათვალისწინებულია. გზშ-ს ანგარიშს თან ერთვის შესაბამისი დოკუმენტაცია.
3.	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები	საკითხი გათვალისწინებულია
4.	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის კონსულტანტის მიერ.	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის გვ. 3.
5.	გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და რეკონსტრუქციის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად,	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფები 3.1., 3.2.8. და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნაწილის ცალკეული პარაგრაფები.
6.	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:	
7.	პროექტის საჭიროების დასაბუთება;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფები 3. და 4.1. დღეისათვის ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიური ხაზის ნაწილი საჭიროებს განახლებას. ამასთანავე ზოგიერთი მიმართულებით საჭიროა გარემოსდაცვითი მდგომარეობის გამოსწორება. აღსანიშნავია, რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2022 წლის 18 აპრილს, განხორციელდა შპს „ავზი 94“-ის კუთვნილი სარეზერვუარო პარკის ტერიტორიის ინსპექტირება, რის საფუძველზე დეპარტამენტში დაწყებულია სამართალდარღვევის საქმის წარმოება. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით საჭიროა ტერიტორიაზე გარკვეული სარეკონსტრუქციო სამუშაოების

		ჩატარება და გარემოსდაცვითი პირობების გაუმჯობესება. მეორეს მხრივ, ერთადერთი ალტერნატივა არის საცავის კონსერვაცია და არსებული ინფრასტრუქტურის დემონტაჟი. ქ. თბილისში და ზოგადად ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების და ამის პარალელურად საწვავზე მოთხოვნილების ზრდის პირობებში მსგავსი პროფილის ობიექტების ფუნქციონირება გადაუდებელი საჭიროებისაა. აქედან გამომდინარე შპს „ავზი 94“-ს საქმიანობაზე უარის თქმის შემთხვევაში ასეთი ობიექტების მშენებლობა-განვითარება აუცილებლად გაგრძელდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უკვე არსებული ინფრასტრუქტურის დემონტაჟი ან კონსერვაცია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა ამ ადგილზე, ვერ იქნება გარემოსდაცვითი (და ასევე ეკონომიკური) თვალსაზრისით გამართლებული. ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ობიექტზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებაა.
8.	დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა. მათ შორის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების დეტალური დახასიათება;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.
9.	საპროექტო ტერიტორიის აღწერა-დახასიათება, საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდისა და GIS კოორდინატების მითითებით, Shp ფაილებთან ერთად;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.1. გზშ-ს ანგარიშს თან ერთვის საცავის ტერიტორიის Shp ფაილები
10.	ნავთობპროდუქტების საცავის განახლებული გენ-გეგმა, არსებული და საპროექტო ინფრასტრუქტურის მითითებით და შესაბამისი ექსპლიკაციით, ასევე გაფრქვევის და ხმაურის გავრცელების წყაროების მითითებით.	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის ნახაზი 3.2.1.1. და და დანართში 5 მოცემული გენ-გეგმა.
11.	საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სხვა უახლოეს ობიექტამდე;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.1. და ნახაზი 3.1.1.
12.	ინფორმაცია 500 მ რადიუსის საზღვრებში არსებული ან/და დაგეგმილი ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის საპროექტო საქმიანობის ანალოგიური, ობიექტების შესახებ (მანძილებისა და საქმიანობის მითითებით);	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.1.
13.	ინფორმაცია გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, დეტალურად იქნეს განხილული უმოქმედობის ალტერნატივა და ტექნოლოგიური ალტერნატივები, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების დასაბუთების მითითებით. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 4.

	დასაბუთებული ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან შერჩეული ტექნოლოგიისა და გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;	
14.	ცალკე ქვეთავის სახით წარმოდგენილი უნდა იქნეს ობიექტზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის/სიტუაციის და ტექნოლოგიური უზნების დეტალური აღწერა;	<p>საკითხი გათვალისწინებულია</p> <p>საცავის ტერიტორიაზე არსებული ინფორმაცია აღწერილია გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფში 3.1. აქვე წარმოდგენილია შესაბამისი ფოტომასალა. უნდა აღინიშნოს, რომ გზშ-ს ანგარიშის მომზადებისთვის ტერიტორიაზე ჩატარებული გარემოსდაცვითი აუდიტის დროს გამოვლენილი იქნა ცალკეული საკითხები, რაც სამომავლოდ საჭიროებს გამოსწორებას.</p> <p>საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ობიექტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას და არსებული მდგომარეობის ცვლილებას, მათ შორის შეიცვლება სარეზერვუარო პარკების შემადგენლობა და მოცულობა, სრულიად განახლდება სატუმბო სადგური და საწვავის მიღება-გაცემის უბანი, გამოსწორდება საწარმოო-სანიადვრე წყალარინების მდგომარეობა და ამისთვის მოეწყობა შესაბამისი გამწმენდი ნაგებობა. მოეწყობა შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და ა.შ. საცავის ექსპლუატაცია დაიწყება სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შემდგომ.</p>
15.	ცალკე ქვეთავის სახით წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების/დონისძიებების შესახებ, რეკონსტრუქციის ფარგლებში მოსაწყობი ინფრასტრუქტურის დახასიათებით.	<p>საკითხი გათვალისწინებულია</p> <p>სარეკონსტრუქციო სამუშაოების თანმიმდევრობა და აღწერა მოცემულია გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფში 3.2.8. რეკონსტრუქციის ფარგლებში მოსაწყობი ინფრასტრუქტურა დახასიათებულია პარაგრაფში 3.2.4.</p>
16.	ნავთობსაცავის შემადგენელი-დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტების, დანადგარებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების აღწერა (არსებული და საპროექტო), შესაბამისი თანდართული სქემით და სიტუაციური ნახაზებით;	<p>საკითხი გათვალისწინებულია</p> <p>იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფები 3.2.4., 3.2.5. და 3.2.6.</p>
17.	ნავთობპროდუქტების დაცლა-გადატვირთვის ოპერაციებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის დეტალური აღწერა, მათ შორის: ინფორმაცია სატუმბო სადგურის შესახებ (ტუმბოების რაოდენობის, პარამეტრებისა და წარმადობების მითითებით), ინფორმაცია გამოყენებული სარკინიგზო ესტაკადის შესახებ, ტექნოლოგიური მიწების შესახებ და ა.შ.;	<p>საკითხი გათვალისწინებულია</p> <p>იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.2.3. და 3.2.4. რაც შეეხება სარკინიგზო ესტაკადას - იგი არ წარმოადგენს საქმიანობის განმახორციელებლის საკუთრებას. რეკონსტრუქციის დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ სარკინიგზო ესტაკადის მფლობელ კომპანიასთან</p>

18.	სარეზერვუარო პარკის დეტალური დახასიათება არსებული სიტუაციისა და რეკონსტრუქციის პროექტის გათვალისწინებით;	გაფორმდება ხელშეკრულება. საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.2.4.1. და შესაბამისი ნახაზები.
19.	ინფორმაცია არსებული რეზერვუარების შესახებ (ტიპი, მოცულობა და სხვ);	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.2.4.1. და შესაბამისი ნახაზები.
20.	თითოეული რეზერვუარის (არსებული, საპროექტო) და მათი ჯამური მოცულობის შესახებ ინფორმაცია (თითოეული რეზერვუარის ფუნქციური დატვირთვის მითითებით);	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფები 3.2.1., 3.2.2., 3.2.3. და 3.2.4.
21.	რეზერვუარების დასუფთავების ტექნოლოგიის შესახებ ინფორმაცია;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.2.6.
22.	დეტალური ინფორმაცია რეზერვუარ(ებ)იდან შესაძლო დაღვრილი ნავთობპროდუქტის მოცულობის შეკავების უზრუნველყოფის შესახებ. კერძოდ, რეკონსტრუქციის პროექტის გათვალისწინებით სარეზერვუარო პარკის შემოზვინვის შესახებ დეტალური ინფორმაცია, რომლის პარამეტრები და შიდა სასარგებლო მოცულობა გაანგარიშებული უნდა იყოს ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის ეფექტური შეკავებისთვის;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.2.4.1. ასევე იხ. გენ-გეგმა.
23.	სარეზერვუარო პარკში ავარიულად დაღვრილი პროდუქციის შემდგომი მართვის ღონისძიებების დეტალური აღწერა;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა - დანართი 7.
24.	ტექნოლოგიური მილგაყვანილობიდან ან/და სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობების დაზიანებისას შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების მართვის საკითხები;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა - დანართი 7.
25.	სარეზერვუარო პარკის ტერიტორიის შესაბამისი მოპირკეთების შესახებ ინფორმაცია (სარეზერვუარო პარკის ჰიდროსაიზოლაციო ფენის აღწერა);	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.2.4.1.
26.	დაგეგმილი საქმიანობის ძირითადი ფიზიკური მახასიათებლები (სიმძლავრე, მასშტაბი). ნავთობპროდუქტების საცავის საპროექტო წარმადობის-ტვირთბრუნვის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.2.2.
27.	საპროექტო ობიექტის ტექნოლოგიური ციკლის, ნავთობპროდუქტების მიღება-შენახვა და გაცემის პროცედურების/ოპერაციების დეტალური, თანმიმდევრული აღწერა. მათ შორის, ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემის უბნების დეტალური აღწერა;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფები 3.2.3 და 3.2.4.2.
28.	ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემის გეგმა-გრაფიკი;	საკითხი ნაწილობრივ გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფები 3.2.2. და 3.2.3. აქვე აღსანიშნავია, რომ ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემის გეგმა-გრაფიკი დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე.

		<p>მათ შორის სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაობის სპეციფიკაზე, პროდუქციის მომწოდებელზე და ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე, ასევე ნავთობპროდუქტების შიდა მოთხოვნილებაზე. ამრიგად ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემის ზუსტი გეგმა-გრაფიკის შედგენა შეუძლებელია. უნდა აღინიშნოს, რომ მიღება-გაცემის ოპერაციები იწარმოებს დღის საათებში, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, მიღება-გაცემის ოპერაციების ინტენსივობა მცირედით იმატებს ზამთრის პერიოდში.</p>
29.	ტექნოლოგიური ციკლის ჰერმეტიკულობის შესახებ დეტალური ინფორმაცია;	<p>დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს ტექნოლოგიური ხაზის არსებული მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.</p> <p>ტექნოლოგიური ციკლი იქნება მაქსიმალურად ჰერმეტიკული (აღნიშნული თავად საქმიანობის განმახორციელებლის ინტერესშია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მაღალია პროდუქტის დანაკარგი და ადგილი აქვს ფინანსურ-ეკონომიკურ ზარალს). ჰერმეტიკულობის დარღვევის ნებისმიერი ფაქტის შემთხვევაში სამუშაოები დაუყოვნებლივ შეჩერდება და გატარდება ოპერატიული ღონისძიებები პრობლემის აღმოსაფხვრელად.</p>
30.	ინფორმაცია აირგამწმენდი სისტემის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ობიექტზე რეკუპერაციის სისტემის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ (აირგამწმენდი სისტემის შესაბამისი საპასპორტო მონაცემების და ეფექტურობის მითითებით);	<p>განსახილველი ნავთობპროდუქტების საცავი აშენებულია გასული საუკუნის მიწურულს და ფუნქციონირებდა რამდენიმე წლის განმავლობაში. დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოები გულისხმობს არსებული მილსადენების, სატუმბი სადგურის, საწვავის მიღება-გაცემის უბნის ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებას და საიმედოობის გზარდას. სისტემა იქნება მაქსიმალურად ჰერმეტიკული. გზშ-ს ანგარიშში შესრულებული გაანგარიშებების მიხედვით საწარმოს მაქსიმალური დატვირთვით ფუნქციონირების პროცესში უახლოეს რეცეპტორებთან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციების გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.</p> <p>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ობიექტზე რეკუპერაციის სისტემის მოწყობის საკითხი არ დგას, მითუმეტეს, რომ ამის აუცილებლობის შესახებ ნორმატიული აქტი დღეს ჯერჯერობით არ არსებობს. ასეთი სისტემის გამოყენების</p>

		პრაქტიკა მსგავსი წარმადობის და მოცულობის საცავების შემთხვევაში ქვეყანაში დღეისათვის არ გამოიყენება.
31.	ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების დეტალური აღწერა, სამოძრაო მარშრუტების და ტრანსპორტირების სქემის მითითებით (სატრანსპორტო ნაკადების მართვის გეგმა);	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 7.14.
32.	ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის დანართი 6 - ნარჩენების მართვის გეგმა. ასევე იხ. პარაგრაფები 3.2.7. და 7.9.
33.	ობიექტის სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყალმომარაგების შესახებ დეტალური ინფორმაცია;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.2.6.
34.	ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების შესახებ ინფორმაცია, მართვის ღონისძიებების მითითებით;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.2.6.
35.	ინფორმაცია ტექნოლოგიურ ციკლში წყლის გამოყენების შესახებ, ასევე აღნიშნული წყლების შემდგომი მართვის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.2.6.
36.	ინფორმაცია ნავთობსაცავის ტერიტორიაზე (საოპერაციო და არა საოპერაციო მოედნებიდან) წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების და მათი მართვის შესახებ;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.2.6.
37.	ინფორმაცია ჩამდინარე წყლების (საწარმო-სანიაღვრე) შეკრებისთვის და შესაბამის გამწმენდ სისტემაში მიწოდებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის შესახებ;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.2.6.
38.	დეტალური ინფორმაცია საპროექტო გამწმენდი სისტემის შესახებ, გამწმენდი ნაგებობის პარამეტრების, საპასპორტო მონაცემების მათ შორის წარმადობის და ეფექტურობის მითითებით;	
39.	ინფორმაცია სარეზერვუარო პარკში გაჟონვის საკონტროლო ჭის და სადრენაჟო სისტემის არსებობის შესახებ;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.2.4.
40.	ჩამდინარე წყლების ჩაშვებაზე საკანალიზაციო სისტემის მფლობელთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;	ჩამდინარე წყლების ჩაშვებაზე საკანალიზაციო სისტემის მფლობელთან შეთანხმება გაფორმდება რეკონსტრუქციის დასრულების შემდგომ ექსპლუატაციაში გაშვებამდე, საჭიროების შემთხვევაში შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება სააგენტოში.
41.	ინფორმაცია ხანძარსაწინააღმდეგო წყლებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფები 3.2.4.5 და 3.2.5.1.
42.	ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული რისკების შესახებ;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა - გზშ-ს ანგარიშის დანართი 7.

43.	არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ნავთობპროდუქტების მიღება-გადაცემა-გადამუშავების ოპერაციების შეზღუდვის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზმ-ს ანგარიშის პარაგრაფები 7.4.3. და 8.3.
44.	დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზმ-ს ანგარიშში პარაგრაფი 7.12.
45.	ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზმ-ს ანგარიშის თავი 7-ის ცალკეული პარაგრაფები. მოცემულია ატმოსფერულ ჰაერში ემისიების და ხმაურის გავრცელების გაანგარიშებისას გამოყენებული მეთოდები.
46.	პროექტის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეფასება, მათ შორის:	საკითხი გათვალისწინებულია
47.	პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზმ-ს ანგარიშში პარაგრაფი 7.4.
48.	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში;	
49.	ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზმ-ს ანგარიშში პარაგრაფი 7.4.3.
50.	ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზმ-ს ანგარიშის პარაგრაფები 9.3. და 9.4.
51.	სარეზერვუარო პარკის ტერიტორიაზე სუნი წარმომქმნელი პოტენციური წყარო(ებ)ის იდენტიფიცირება, მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ან/და პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზმ-ს ანგარიშის პარაგრაფი 7.4.
52.	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტი;	საკითხი გათვალისწინებულია გზმ-ს ანგარიშს თან ერთვის ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი.
53.	პროექტის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროების და მათი მუშაობის დროის/ხანგრძლივობის შესახებ;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზმ-ს ანგარიშის პარაგრაფი 7.5. ხმაურის ძირითადი წყაროები იქნება: რეკონსტრუქციის ეტაპზე - სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები, ასევე სადემონტაჟო სამუშაოები; ექსპლუატაციის ეტაპზე - სატუმბო სადგური და ავტოგისტერნები. ხმაურის წყაროები იფუნქციონირებს მხოლოდ დღის საათებში. მათი მუშაობის ზუსტი ხანგრძლივობის განსაზღვრა შეუძლებელია, ვინაიდან როგორც ზემოთ აღინიშნა სწავლის მიღება-გაცემის პროცესის

		პერიოდი და ხანგრძლივობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე. მოსალოდნელია, რომ ინტენსიური ხმაურის გამომწვევი წყაროების ერთდროული, მაქსიმალური დატვირთვით ფუნქციონირება არ გაგრძელდება დღის განმავლობაში 1-2 საათზე მეტი ხნის განმავლობაში.
54.	შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე/გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. განისაზღვროს სარეზერვუარო პარკის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ფარგლებში ნიადაგის/გრუნტის ზედაპირული ფენის დაბინძურების მაღალი რისკის უბნები და შემუშავდეს დაბინძურებისაგან დაცვის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიში პარაგრაფი 7.6.
55.	მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიში პარაგრაფები 7.6. და 7.8.
56.	ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიში პარაგრაფი 7.10.
57.	ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, ნარჩენების მართვის საკითხები და პრევენციული ღონისძიებები. მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმა;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიში პარაგრაფი 7.9. ნარჩენების მართვის გეგმა წარმოდგენილია დანართში 6.
58.	გაზრდილი ტვირთბრუნვის ფონზე, ნავთობპროდუქტების სატრანსპორტო გადაზიდვებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 7.14.
59.	კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია, გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 7.17.
60.	პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან/უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იყოს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიში პარაგრაფები 7.12. და 7.14.
61.	ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 7.16.
62.	პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფები 7.18. და 7.19. დაგეგმილის აქმიანობის პროცესში შეუქცევადი ზემოქმედება

		მოსალოდნელი არ არის.
63.	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა;	საკითხი გათვალისწინებულია ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა წარმოდგენილია დანართში 7.
64.	პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 8.
65.	პროექტის ფარგლებში შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით);	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 9.
66.	გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;	საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 11.
67.	საკითხები/შენიშვნები, რომელებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში;	
68.	გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N65 დადგენილებით დამტკიცებული „ნავთობის ბაზების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნები, ამასთან, აისახოს აღნიშნული რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია;	საკითხი გათვალისწინებულია გზშ-ს ანგარიშის ცალკეულ პარაგრაფებში (3.2.4.1., 3.2.4.2., 3.2.4.3., 3.2.4.4., 3.2.5., 3.2.8., 7.4.3.) გაწერილია საქმიანობის განმახორციელების მიერ აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულება.
69.	სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე განთავსებულია ორი 25 მ3-იანი რეზერვუარი, ხოლო საწარმოს ადმინისტრაციის მიმდებარედ ავტოგასამართი სადგური, რომლებიც იჯარის ხელშეკრულებით სხვა კომპანიის სარგებლობაშია გადაცემული. ვინაიდან, შპს „ავზი 94“-ს დაგეგმილი აქვს არსებული ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქცია, რომლის შემადგენლობაში შედის ასევე 25 მ3-იანი რეზერვუარები და რომლებიც ფუნქციურად დატექნიკურად ურთიერთდაკავშირებულია საწარმოს არსებულ ინფრასტრუქტურასთან, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს მათ შორის აღნიშნული რეზერვუარები. რაც შეეხება იჯარის ხელშეკრულებას, გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის საკითხი დარეგულირებულია კოდექსის მე-15 მუხლით. კერძოდ, საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის არსს, განსაზღვრულ პირობებს ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა გულისხმობს როგორც უფლებების, ისე შესაბამისი მოვალეობების (მათ შორის, ამ	გზშ ანგარიშში დანართის სახით წარმოდგენილია შპს „ავზი 94“-სა და შპს „ფავორიტი 555“-ს შორის 2022 წლის 12 სექტემბერს დადებული იჯარის ხელშეკრულება, რომლის მე-4 მუხლის თანახმადაც, ქვე-კონტრაქტორ კომპანიას საიჯარო ქონება - ჯამში =145 მ³ ტევადობის რეზერვუარები გადაცემული აქვს დროებით სარგებლობაში. ნებართვის გამცემი ორგანოს შენიშვნის გათვალისწინებით ბენზინგასამართ სადგურთან დაკავშირებული საკითხები გათვალისწინებულია გზშ-სა და ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტში. რაც შეეხება გარემოსდაცვითი კოდექსის მე-15 მუხლით დარეგულირებულ - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირისთვის გადაცემის საკითხს, გაცნობებთ, რომ ბენზინგასამართი სადგური ფუნქციონირებს 1995 წლიდან, მოგეხსენებათ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, 2018 წლამდე დაწყებულ საქმიანობებზე არ ვრცელდება გარემოსდაცვითი

	<p>გადაწყვეტილების გადაცემამდე ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების) გადაცემას. ამასთან, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია ამ გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნაწილობრივ გადაცემის შემთხვევაში გადაწყვეტილების მფლობელი და პირი, რომელსაც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა, პასუხისმგებელი არიან გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობებისა და მათთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისთვის. ზემოაღნიშნული საკითხი გათვალისწინებულ უნდა იქნეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში;</p>	<p>შეფასების კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურის ვალდებულება, ხოლო რაც შეეხება კოდექსის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლებით დარეგულირებულ - სკოპინგისა და გზშ ანგარიშის მომზადებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით - ეხება მხოლოდ 1000 მ² ან მეტი ჯამური მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაციას.</p>
70.	<p>დაზუსტებას საჭიროებს თითოეული რეზერვუარის (არსებული; საპროექტო) ფუნქციური დატვირთვის შესახებ ინფორმაცია;</p>	<p>საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფები 3.2.1. და 3.2.2.</p>
71.	<p>გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს ობიექტის რეკონსტრუქციის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ამასთან თითოეული მათგანის განხორციელებით გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;</p>	<p>საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.2.8. ამასთანავე დოკუმენტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნაწილის ცალკეულ ქვეთავებში წარმოდგენილია რეკონსტრუქციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები. ეს ინფორმაცია შეჯამებულია პარაგრაფში 8.2.</p>
72.	<p>გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია „ღრმა“ ჩასხმის და „ქვედა“ ჩასხმის სისტემის შესახებ;</p>	<p>საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.2.4.1.</p>
73.	<p>სკოპინგის ანგარიშში მოცემულია არაერთი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია მათ შორის, გვ. 22-ზე აღნიშნულია, რომ „საწვავის მიმღები და გასაცემი სისტემები აღჭურვილია მექანიკური ფილტრებით“, ხოლო გვ.7-ზე მოცემულია, რომ „საწვავის მიმღები და გასაცემი სისტემები აღიჭურვება მექანიკური ფილტრებით“. გზშ-ის ეტაპზე აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;</p>	<p>საკითხი გათვალისწინებულია დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ფარგლებში მოხდება საწვავის მიმღები და გასაცემი სისტემების აღიჭურვა მექანიკური ფილტრებით.</p>
74.	<p>სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი საწარმოს გენ-გეგმა დაბალი ვიზუალური გარჩევადობისაა, კერძოდ არ იძლევა საწარმოს და მისი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღქმის, გაანალიზების შესაძლებლობას, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;</p>	<p>საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.2.1., ნახაზი 3.2.1.1.</p>
75.	<p>მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.05.02.724) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის</p>	<p>საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.1. და დანართი 1.</p>

	<p>გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2(რზ-2), ხოლო თბილისის გამწვანების თემატური რუკით ნაწილზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ით განსაზღვრული ფუნქციური ზონირება. სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ცნობით, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობებისა. ამასთან, სამრეწველო ზონაში (ს-1) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე, საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს პროექტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;</p>	
76.	<p>არსებულ მიწის ნაკვეთზე რამდენიმე ადგილას ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა კოდით N 01.01.781 (მილსადენი). პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების აღნიშნულ ხაზობრივ ნაგებობასთან თანხვედრის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ხაზობრივი ნაგებობის ოპერატორთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;</p>	<p>საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.1. და დანართი 2.</p>
77.	<p>ტერიტორია ხვდება თვითმფრინავების ასაფრენი ზოლის შეზღუდვის არეალში, სადაც ნებისმიერი შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილი და სიმაღლე დაინტერესებულმა პირმა უნდა შეათანხმოს აეროდრომის ექსპლუატანტთან შპს „ტავ ურბან საქართველოსთან“;</p>	<p>საკითხი გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 3.1. და დანართი 3.</p>
78.	<p>გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნებისა და სკოპინგის დასკვნაში გამოკვეთილი საკითხების გათვალისწინებით. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის - გზშ-ის ანგარიშში ზედმიწევნით უნდა იქნეს გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნები;</p>	<p>საკითხი გათვალისწინებულია</p>
79.	<p>გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვე)თავების მითითებით).</p>	<p>საკითხი გათვალისწინებულია</p>